№18/2025
21.11.2025 წ.

სს „თბილისის საფონდო ბირჟის“ აქციონერებს

პატივცემულო აქციონერებო,

სს „თბილისის საფონდო ბირჟის“ (ს/ნ 405099682, შემდგომში - „ბირჟა“) სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა - ბატონმა ირაკლი კირტავამ წერილობით მომართა ბირჟის ხელმძღვანელ ორგანოს და განაცხადა, რომ საკუთარი განცხადების საფუძველზე ტოვებს ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს.

სამეთვალყურეო საბჭოში ვაკანტური ადგილის შესავსებად აქციონერის (სს „გალტ ენდ თაგარტის“) მხრიდან საბჭოს წევრობის კანდიდატად დასახელებულია გიორგი კუპრაშვილი (პ/ნ 01005013388).

ამ მიზნით გაცნობებთ, რომ **2025 წლის 15 დეკემბერს** 12:00 საათზე, კანონმდებლობისა და საზოგადოების წესდების სრული დაცვით, ჩატარდება სს „თბილისის საფონდო ბირჟის“ (ს/ნ 405099682, იურიდიული მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N71, მე-10 ბლოკი, მე-7 სართული, ოფისი N7) **აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება დაუსწრებლად, წინასწარი ელექტრონული გამოკითხვის გზით,** შემდეგი დღის წესრიგით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ცვლილების შესახებ.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე წინამდებარე მოწვევის წერილზე თანდართულია:

- გადაწყვეტილების პროექტი/ხელმძღვანელი ორგანოს რეკომენდაცია (დანართი 1).

აღნიშნული დოკუმენტი აგრეთვე გამოქვეყნებულია მარეგისტრირებელი ორგანოს ელექტრონულ პორტალზე და ბირჟის ვებ-გვერდზე: www.tse.ge

ბირჟის ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებით, კრების სააღრიცხვო დღედ დადგენილია 2025 წლის 21 ნოემბერი. საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც სააღრიცხვო დღის მდგომარეობით აქციონერებად ირიცხებიან;

საერთო კრებაზე ხმის მიცემა ხდება წერილობითი ფორმით;

კრებაში მონაწილეობის მისაღებად, გთხოვთ, დაიცვათ ქვემოთმოცემული დანაწესი, რათა თქვენი მონაწილეობა კრებაში ლეგიტიმურად ჩაითვალოს და თქვენი ხმა აღირიცხოს ქვორუმში:

1. **გთხოვთ, სააღრიცხვო თარიღის შემდეგ და კრების ჩატარების თარიღამდე სულ მცირე 2 (ორი) დღით ადრე პერიოდში ე.ი. 21.11.2025 - 13.12.2025 წ. პერიოდში** გვაცნობოთ (დამიბრუნოთ პასუხი "reply all" გზით/მოგვწეროთ ელ-ფოსტაზე: tkhizanishvili@tse.ge) დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხ(ებ)ზე ქვემოთმოცემული ჩამონათვალიდან თქვენს მიერ მიღებული რომელიმე გადაწყვეტილება:

   ა) ვეთანხმები; ან

   ბ) არ ვეთანხმები; ან

   გ) თავს შევიკავებ.

2. თქვენი უფლებაა გამოთქვათ აგრეთვე წერილობითი მოსაზრება დღის წესრიგით განსაზღვრულ საკითხ(ებ)თან მიმართებაში, რაც საბოლოოდ აისახება სხდომის ოქმში.

3. კრებაში თქვენი მონაწილეობის უფლება შეგიძლიათ შეამოწმოთ კრების ჩატარებამდე ყოველ სამუშაო დღეს, 10:00-დან 17:30 საათამდე, როგორც ბირჟის აქციათა რეესტრში (რომელსაც აწარმოებს სს „კავკასრეესტრი" მისამართზე: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N74/მოსაშვილის ქ. 11), აგრეთვე ბირჟაზე, რისთვისაც ელექტრონულად (დასკანერებული სახით), უნდა გამოაგზავნოთ სათანადო საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ასლი ელ. ფოსტის მისამართზე tkhizanishvili@tse.ge

4. საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლების განხორციელება შეგიძლიათ როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის მეშვეობით.

- წარმომადგენლის დანიშვნა და წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ ბირჟისთვის შეტყობინება ხდება წერილობით, ან ელექტრონულად, ელექტრონულ ფოსტაზე tkhizanishvili@tse.ge ინფორმაციის გაგზავნის გზით.
- წარმომადგენელზე გაცემული მინდობილობა (თუ აქციონერი ფიზიკური პირია) უნდა იყოს დამოწმებული ნოტარიუსის მიერ, ან ხელმოწერილი კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით. ამასთან, მინდობილობაში უნდა განისაზღვროს იმ ელექტრონული ფოსტის მისამართი, რომლიდანაც წარმომადგენელი ელექტრონული გამოკითხვის გზით საერთო კრებაში მიიღებს მონაწილეობას.

5. საერთო კრების დღის წესრიგში ცვლილებისა და საკითხების დამატებისათვის სავალდებულოა დაიცვათ მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესები.

6. კრებაში მონაწილეობასთან დაკავშირებით კითხვების არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ მოგვწეროთ ელექტრონულ ფოსტაზე: tkhizanishvili@tse.ge

პატივისცემით,

თამაზ ხიზანიშვილი დირექტორი

სს „თბილისის საფონდო ბირჟის“ ხელმძღვანელი ორგანოს რეკომენდაცია
(მისაღები გადაწყვეტილების პროექტი)

1. **დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით:**

- ცნობად იქნეს მიღებული ირაკლი კირტავას პირადი განცხადება სს „თბილისის საფონდო ბირჟის“ სამეთვალყურეო საბჭოს დატოვების შესახებ;
- შეიცვალოს სს „თბილისის საფონდო ბირჟის“ სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა შემდეგნაირად: ირაკლი კირტავას (პ/ნ 01024000443) ნაცვლად ვაკანტურ ადგილზე 3 წლის ვადით არჩეული იქნას გიორგი კუპრაშვილი (პ/ნ 01005013388).